პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 სექტემბერი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 223 (16044)

საუფლოების გაძლიერება, ხალხ-დემოკრატიული უფლებანი — საბჭოთა ხელისუფლების ბრწყინვალე მიღწევა

ყველა მაჩვენებლით

ფოთი. (საკ. კორ. გ. ნოდია). ფოთის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი წისქვილ-კომბინატის (დირექტორი ალ. ხორავა) კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეცხრე ხუთწლედში მეოთხე, გასმსაზღვრელი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. კომბინატმა 8 თვის გეგმა 25 აგვისტოსათვის ყველა მაჩვენებლით გაანღდა და კვლავ პირველი ადგილი მოიპოვა ქალაქის საწარმოებს შორის გაძლიერ შეჯიბრებაში. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით, გეგმის ზევით გამოშვებულია ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების კულტურის ამაღლებით და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით, დაზოგილია 150 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მიღებულია ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება.

კომბინატის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს ამისათვის, რომ განმსაზღვრელი წლის გეგმა-ვალდებულება შეასრულოს 5 დეკემბრისათვის და წელსვე 1975 წლის ანგარიშში გამოუშვას ასეულ ათასობით მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დაზოგილი ათასეული

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკურ ქარხანაში სამახანდო უურადღება ეთმობა რაციონალიზატორული და საგამოძიებლო საქმიანობის ფართოდ გაშლას, ამ საინტერესო მუშაობაში ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშების ჩაბმას. მარტო შარშან რაციონალიზატორებმა რაციონალიზაცია - გამომგონებლობის საქარხნო ბიუროში (უფროსი ლ. რუსაძე) შემოიტანეს 179 წინადადება, რომელთაგან 104 დაინერგა და 180 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მისცა საწარმოს. მიმდინარე წელს მათ ბიუროში წარმოადგინეს 100 რაციონალიზატორული წინადადება, 7 თვეში უკვე 66 წინადადება დაინერგა, მიღებულია 90 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია.

ქარხნის საუკეთესო რაციონალიზატორთა რიგებში არიან ინჟინერები ლ. ფირცხალავა, ე. ბოხონელიძე, ნ. ფუტკუბანიძე, გ. გრძელიძე, ტექნიკოსები დ. ჩუბინიძე, რ. მესხორაძე, ზ. თევდორაძე, მეფაფლობე მუშა რ. კაბია, ხარატი ბ. ხაბურძანია, მსხმელი ფ. ზარაშვილი, ინჟინერი ე. ბოხონელიძე, ხეინჯალი ვ. ტყეშელაშვილი.

ქარხნის რაციონალიზატორთა საქმიანობა სულ უფრო ფართოვდება.

9 თვის გეგმა ვადამდე

მეცხოველეთა შორის ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მიცხრე ხუთწლედის მეოთხე. გასმსაზღვრელი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში ბევრი რაიონი დაწინაურდა. საბელმწიფოსათვის ხორცის და რძის მიყიდვის 9 თვის გეგმა-ვალდებულება 16 სექტემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შესრულეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, გორგასლის, გარდაბნის და სხვა რაიონების მეცხოველეებმა.

საბელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, საჩხერის, აბაშის, ცხინვალის, ხობის, მახარაძის, ჩოხატაურის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აჭარის ასსრ რესპუბლიკა.

საბელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა წალენჯიხის რაიონმა 175 პროცენტით შეასრულა, აბაშის — 123, მაიაკოვსკის — 115, ლანჩხუთის — 109, მარნეულის რაიონმა — 104 პროცენტით.

პირუტყვს — საკვების წლინახევრის მარაგი!

სიტყვას საქმე მოჰყვება

გვესაუბრება პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი დ. კიკნაძე.

— **საზოგადოებრივი** მეცხოველეობა წლების მანძილზე ჩამორჩებოდა იმ მოთხოვნებს, რასაც აყენებს მეცხრე ხუთწლედის ამოცანები. წელს კი როგორც ყველგან, ისე წყალტუბოს რაიონში გაწეულია სერიოზული მუშაობა. — განაცხადა „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელთან — **ნ. ჯანღლაებთან** საობარში პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. კიკნაძემ.**

საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი ყურადღების გაძლიერების შედეგად გაიზარდა პროდუქტიულობა და სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის 9 თვის გეგმები გადამდე შესრულდა. მაგრამ ბევრი რამ არის გასაკეთებელი წლიური გეგმის შესრულებისა და პირუტყვის სანიმშოდ გამოზამთრების უზრუნველსაყოფად. ამისათვის დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცე საკვებ ბაზის შექმნას.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. წელს გეგმით უნდა დამზადდეს 9.983 ტონა ხეტვები. 16 სექტემბრისათვის დამზადებული იყო 2.200 ტონამდე, 1.209 ტონა თივა, ანუ გეგმა შესრულებულია 76 პროცენტით, შეუსრულებელია სენაჟის ჩადების გეგმაც.

ამ დღეებში რაიონის მეცხოველეობაში განიხილეს წლიწადწყალრიოლოგია მიმართვა — „**თვითეულ ფერმას — საკვების წლინახევრის მარაგი!**" საკვების დაროვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საკვებმომპოვებლებმა გააძლიერეს ეს სამუშაო, მათ მოკლე დროში მოამზადეს ტრანშეიები სენაჟისა და სილოსის ჩასაფენად, - აამოქმედეს მთელი საჭირო ტექნიკა, განსაკუთრებით გაძლიერდა თივის დამზადების ტემპი. ეხლაც საკვების დანაკლისი უთუოდ შეიგრძნობა სიმინდის ჩალით.

მთელ რიგ მეურნეობებში წარმატებით ასრულებენ საკვების დაროვების დავალებას. ამ მხრივ მოწინავეები ანიან ზედა მესხეთის, ქვემო ქართლის, სოფელ კიკეთის კოლმეურნეობები. ამ მეურნეობებში უკვე დამთავრდა ბალახების მესამე თიბვა. სოფელ კიკეთის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა შესრულეს თივის დამზადების გეგმა. საკვებმომპოვებელმა ვ. ნავერიანმა დაამზადა 103 ტონა თივა და ამით დავალება ორმაგად გაანაღდა.

პარტიის რაიკომი და რაიისაბჭოს აღმასკომი კონკრეტულად ღონისძიებებს ახორციელებენ პირუტყვის საკვების დამზადების ტემპის გასაძლიერებლად. რაიონის საკვებმომპოვებლებმა გადახდეს არსებულ რეზერვებს და მტკიცედ გადაწყვიტეს **წელს დაამზადონ 10.433 ტონა უხეში საკვები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.983 ტონისა, 1.340 ტონა თივა, 1.250 ტონა სენაჟი და 15.500 ტონაზე მეტი სილოსი.**

წყალტუბოელები სიტყვას არ აყრიან, და საზოგადოებრივ პირუტყვს უზრუნველყოფენ მტკიცე საკვები ბაზით.

ეს დღეები სოფლად

● **კარტოფილის** მოსავლის აღების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. სულ რესპუბლიკაში ასაღებია 16.095 ჰექტარი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უახლესი მონაცემებით აღებულია 2 ათას ჰექტარზე მეტი. ბოლნისის რაიონში კარტოფილი აიღეს გეგმის 95 პროცენტი და დამზადების გეგმა-ვალდებულებაც დიდი გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. ამ კულტურის მოსავლის აღება მიმდინარეობს ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, ბორჯომის, ახმეტის, მარნეულის, დუშეთის, თეთრი წყაროსა და სხვა რაიონებში.

კარტოფილის დიდი მწარმოებელია წალკის რაიონი. აქ წელს კარტოფილი ასაღებია 3.103 ჰექტარზე. ბალეალაქენელებმა უნდა აიღონ 2.780 ჰექტარი, დმანისელებმა — 1.708 ჰექტარი. ეს რაიონები მალე შეუდგებიან მოსავლის აღებას. მათზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კარტოფილის დამზადების რესპუბლიკური გეგმა-ვალდებულებების შესრულება.

● **ბაჩალეულის** ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება. 19.954 ჰექტარიდან მოსავალი აღებულია 8.776 ჰექტარზე.

გარდაბნის რაიონში ბოსტნეული კულტურები 3.449 ჰექტარზე უთესიათ. უკვე მოსავალი აღებულია 1.143 ჰექტარზე და სახელმწიფოს მიეყიდა 35.294 ტონა ბოსტნეული.

● **ხილის** მოსავლის აღება ყველგან გაჩაღდა. წელს ყორღლები 40.900 ტონაზე მეტ ხილს მიაყიდიან სახელმწიფოს, უკვე მიყიდულია 8 ათას ტონამდე. ქარელის რაიონში უნდა დამზადდეს 20 ათას ტონამდე ხილი, დამზადებულია 7 ათას ტონამდე.

ხილის მოსავალი კარგია ასპინძის, ხაშურის, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთისა და სხვა რაიონებში. ხილის უხვი მოსავალია მცხეთის რაიონის მუხრანის სასწავლო-საცდელო მეურნეობაში (დირექტორი რ. მუმლაძე). აქ ყოველდღიურად ათობით ტონა ხილს კრეფენ და აბარებენ სახელმწიფოს.

ვალდებულება შეასრულეს

სამტრედიის რაიონის მეჩაფალეებმა წელს ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს და გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის ვალდებულება. 16 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 14.750 ტონა სხვადასხვა სახის ბოსტნეული ნაცვლად 14.720 ტონისა.

ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს ქალაქის ლენინის სახელობის და კიკეთის სახელობის, სოფელ ნაფაღაურის ავიცხოველის სახელობის, მილაურის ლენინგრადის სახელობის, ჯიხაიშის წითელი ოქტომბრის და ზოგიერის ბერეთი მაისის სახელობის კოლმეურნეობებმა.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა გრძელდება. ეს რეფერენდის აღინიშნეს პარტიის სამმართველოს რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ოუხაძემ** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მანჯგალაძემ.**

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ

გამოფენა ბერლინში

ბერლინი, 21 სექტემბერი. (საკადესი). „მეგობრები მეგობართა ქვეყანაში" — ასე ეწოდება სამხატვრო გამოფენას, რომელიც გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში. ეს არის პირველი ერთობლივი ექსპოზიცია, რომელიც მოამზადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მხატვართა ავშირებმა. გამოფენა მიმდინარეობს რესპუბლიკის 25 წლისთავის იუბილეს ნიშნით. დარბაზებში გამოფენილია ფერწერისა და გრაფიკის 150-მდე ნაწარმოები, რომლებიც ორი მოძმე ქვეყნის მხატვრებმა შექმნეს ამ ბოლო ხან წელიწადში.

სენატმა შეესწორება მიიღო

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. (საადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო სენატორ პეკვუდის მიერ შეტანილი შესწორება საექსპორტო-საიმპორტო ბანკის საქმიანობის გაგრძელების შესახებ კანონპროექტისათვის, რომელიც ამ ბანკს უკრძალავს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემას მანამ, სანამ არ მიიღებენ ხავაკრო რეფორმის კანონპროექტს, რომელიც წარდგენილია კონგრესის განსახილველად.

შეთანხმდნენ ტუვეთა გაცვლის შესახებ

ნიკოზია. 21 სექტემბერი. (საადესი). ბაიმართა კვიპროსის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გ. კლირიდისისა და კვიპროსის ვიცე-პრეზიდენტის, კუნარ-ულის თურკთა თემის მეთაურის რ. დენქტაშის მორიგი შეხვედრა.

როგორც აღნიშნულია გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ავადმყოფი და დაჭრილი ტუვეებისა და ინტერნირებული პირების გაცვლა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, 21 სექტემბერს დამთავრდება. ყველა ტუვეისა და ინტერნირებული პირის გაცვლა, რომლის გეგმა შეიმუშავეს ხალთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა დაიწყება 23 სექტემბერს და იწარმოებს ყოველდღე სრულ დამთავრებამდე.

თათბირი კაიროში

კაირო. 21 სექტემბერი. (საადესი). აქ გაიხსნა თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ ლეონგდნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო-საქმეთა მინისტრი ი. ფაჰმი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ ჰალიმ ჰადამი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოადგილე ფუაზ ბალაბანი.

სსრ კავშირის შეკვეთით

პარიზი. 21 სექტემბერი. (საადესი). დღეს მარსელის მახლობლად, ლა-ნინ-სიურ მერის გემსაშენებში წყალში ჩაუშვეს სატრანსპორტო გემი „აკადემიკოსი არციმოვიჩი", რომელიც საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანება „გემ-ექსპორტის" შეკვეთით აშენდა სსრ კავშირის საკავშირო ფლოტისათვის. ამ გემს აქვს დატვირთვის პირველადი წესი. მისი სიგრძეა 119 მეტრი, სიგანე —19,4 მეტრი, ტვირთამწეობა —4.200 ტონა, სიჩქარე —17 კვანძი. „აკადემიკოსი არციმოვიჩი" საბჭოთა კავშირისათვის ამ გემსაშენში აგებული მეხუთე გემია.

წყალდიდობა გრძელდება

კატმანდუ, 21 სექტემბერი (საადესი). ბაჰიანურიგებული მუსონური წვიმები კვლავ დიდ ზარალს აყენებენ ნეპალის ეკონომიკას. წყლის ნაკადებმა ბევრგან წალეკეს მთის ფერდობებზე ტერასებად განლაგებული ყანები, ეკლესიები, გზები. ზოგი რაიონი მთლიანად მოწყვეტილია გარე სამყაროს. ნეპალის წითელი ჯვრის მონაცემებით, წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 150 ათასზე მეტი კაცი.

ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ხუთწლედი-ვაღაშენებ!

1975-ᲬᲚᲘᲡ ᲣᲔᲛᲔᲒᲕᲔᲚᲘ

იქნება 15 ათასი ტონა მარგანეცი

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲓᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ

ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც ეუფლებიან თანამოსაქმეებს ეჭიბრობენ, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს რიტმულად, რენტაბელურად მუშაობენ. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა-ვალდებულებებს, შემხვედრ გეგმებს წარმატებით ასრულებენ ყველა მაღაროსა და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივები.

მიმდინარე წლის შემხვედრი გეგმის შესრულების მიმდინარეობასა და ხუთწლედის დამამთავრებელი, 1975 წლის შემხვედრი გეგმის თაობაზე ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცტრუსტის მთავარმა ინჟინერმა მ. ოფაქიძემ თქვა:

— „ჭიათურელი მაღაროელები, რომლებსაც ხახლოვანი შრომითი და რევოლუციური ტრადიციები აქვთ, თავდადებულად შრომობენ ხუთწლედის დავალებათა, შემხვედრი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ძირითადი გეგმით ჭიათურის მარგანეცტრუსტს მეტალურგიისათვის უნდა მიეცა 1.711 ათასი ტონა სახაჭონლო მარგანეცი. შემხვედრი გეგმით მაღაროელებმა იკისრეს 15 ათასი ტონა სახაჭონლო პროდუქციის დამზადება. ამგვარად, წელს შემხვედრი გეგმის ჩათვლით ხაშობლოს უნდა მივცეთ 1.726 ათასი ტონა სახაჭონლო პროდუქცია. რვა თვის მონაცემებით წარმატებით სრულდება როგორც ძირითადი, იხე შემხვედრი გეგმები. საკმარისია თქვას, რომ წელს ძირითადი გეგმის გადამეტებით უკვე დამზადებულია 75.800 ტონა, ხოლო შემხვედრი გეგმის გადამეტებით 67.300 ტონა სახაჭონლო პროდუქცია.

ასევე ითქმის მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადებაზეც. შემხვედრი გეგმით წელს გათვალისწინებული იყო 15 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატის დამზადება. მარტო რვა თვეში ძირითადი გეგმის ზევით დამზადებულია 58.800 ტონა, ხოლო შემხვედრი გეგმის ზევით 50.400 ტონა მაღალი ხარისხის მარგანეცი.

შემხვედრი გეგმა ითვალისწინებდა დამატებით 270 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას. სულ კი წელს უნდა გამოგვეშვა და გავგვესაღებინა 48.380 ათასი მანეთის სახაჭონლო პროდუქცია. რვა თვეში ძირითადი გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1.871 ათასი მანეთის, ხოლო შემხვედრი გეგმის ზევით 1.734 ათასი მანეთის პროდუქცია. როგორც ვხედავთ, ცუდი მაჩვენებლები როდი გვაქვს.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ჭიათურის მარგანტრესტმა მეტალურგიას უნდა მისცეს 1.750 ათასი ტონა სახაჭონლო მარგანეცი. მათ შორის 1.022 ათასი ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატი. ხოლო მოამზადონს 47.598 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ᲐᲕᲭᲝᲜᲘ-ᲓᲐᲕᲭᲝᲜᲔᲗ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲚᲝᲜᲐ 1975 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ 15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲚᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲡᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ

ჭიათურის მთიან მაღაროებში ალეგენ მანგანუმს. სამაგარო გზებით იგი მიდიან ქვეყნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში. რკინიგზის შემადგენლობანი ეზიდებიან მას ზესტაფონში, ფეროშენადნობთა ქარხანაში. ძირფასი ლითონის ზოდები ფოთის საზღვაო ნავსადგურის გავლით იგზავნება ქვეყნის ასი მისამართითა და საზღვარგარეთის 10 სახელმწიფოში.

ჭიათურის მანგანუმს აქვს ერთი ერთი გზა — ტექნიკური პროგრესის გზა. მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ჭიათურის საბადოს სამრეწველო დამუშავების 95 წლისთავი. პირველ წელს მანგანუმის მოპოვებამ შეადგინა 816 ტონა. ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის მარტო შვიდ თვეში ჭიათურელმა მაღაროელებმა სამშობლოს მისცეს 1.057 ათასი ტონა მადანი — გეგმაზე 73,3 ათასი ტონით მეტი. თითქმის ერთისამადა გადაჭარბებული მიმდინარე წლის ვალდებულება!

ჭიათურის მაღაროებში ნამდვილი მიწისქვეშა ქარხნებია, რომლებიც უბერავენ აღჭურვილი თანამედროვე მექანიზმებით. მთელი მანგანუმის მეხუთედს ღია კარიერებში იღებენ. ეს მნიშვნელოვნად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

სურათებზე: (ზემოთ) ახალი ითხვისს მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის მოწმინავე მექანიკოსი ზურაბ ტაბატაძე; მანგანუმის ტრანსპორტირება მაღაროებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

ა. რუხაძისა და ა. მაჭავარიანის ფოტო. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

Ა. Ბ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ალ. ბერიკაშვილის „მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორია". ეს ნაშრომი ეძღვნება XXIV ყრილობისადმი, ეს ნაშრომი ეხმარება ალ. ბერიკაშვილს ბოლშევიზმის ისტორიის, ეროვნული საკითხის, ეროვნული ურთიერთობის, ეროვნული სახელმწიფოებრივობის, ეროვნული ენის, ეროვნული ფერის, ეროვნული ფეხბურთის, ეროვნული ფეხბურთელის, ეროვნული ფეხბურთელის, ეროვნული ფეხბურთელ

მომხმარებელი მეგს მოელის

ოფსერიგებული კოოპერაციული საბითუმო ვაჭრობა საცალო საქონელბრუნვის რიტმული შესრულების გარანტიაა

საადღეისო პრობლემები

ლოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი მოთხოვნილების გახუხრელ მა ზრდამ, მრეწველობის მიერ მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრად გადიდებამ ერთი მხრივ, ხოლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციების მომწოდებელ საწარმოებთან პირდაპირ კავშირზე გადასვლამ, მეორე მხრივ, განაპირობა საქონელბრუნვის მოცულობის სწრაფი ზრდა, მისი სტრუქტურის ნნიშვნელოვანი სახეცვლილება.

საკმარისია ითქვას, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილ სამწლეულ-ნახევარში ეკუკავშირის თბილისის უნივერსალურმა სავაჭრო ბაზამ საბითუმო საქონელბრუნვის გეგმა 109,2 პროცენტით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 335,7 მილიონი მანეთის ნაცვლად გაიყიდა 366,6 მილიონი მანეთის საქონელი, ანუ დავალებას 31 მილიონი მანეთით გადაეჭარბა.

ჩვენი ბაზის მომსახურების ზონაში 18 რაიონის კოოპერაციულ ორგანიზაციათა 313 მაღაზიაა. მარტო მარშან ხაბითუმო საქონელბრუნვის დავალება შესრულებულია 103,3 პროცენტით, რაც 8,5 მილიონ მანეთის აღემატება. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მოგების გეგმა და მიღებულია 49,5 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება. გაწეულია ეკონომია მიმოქცევის ხარჯებში 200 ათას მანეთამდე. საერესპუბლიკათაშორისო ბაზრობებზე 1973 წელს შესყიდულია 15 მილიონი მანეთისაზე მეტი საქონელი.

შარშან ბაზაში დაინერგა ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმები, მწყობრში ჩადგა საქონლის ნომუშების საჩვენებელი დარბაზი, რომელიც ერთ-ერთია საუკეთესოა ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, შრომის პროცესები და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები შეკანონზომიერა, რამაც ხელი შეუწყო 60 პროცენტამდე გამოფენთავისუფლებინა მტვირთავი მუშები. ამჟამად ინერგება აგრეთვე საქონლის დაწყობა-განლაგების რაციონალური ტექნოლოგია, რითაც ორჯერ გაიზრდება სასაწყობო ტევადობის გამოყენების კოეფიციენტი.

ზემოთ მოყვანილი ციფრები თვალნათლივ მეტყველებენ, რომ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები ურიგო როდია. მაგრამ ბაზის კოლექტივს ეს არ აკმაყოფილებს, რადგან სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ბაზა, როგორც სამართლიანად ვიყავით გაკრიტიკებულნი ჩვენ, საბითუმო ვაჭრობის მუშაკები, მიმდინარე წლის მაისში გამართულ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რუმუნებულთა XVII ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში, უნდა იყოს საცალო ვაჭრობის ორგანიზატორი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავართვით თავი ამ ამოცანას. რატომ? ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდე, მინდა შევჩერდე ზოგიერთ პრობლემაზე, იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს გვაშლიან ყოველდღიურ მუშაობაში და რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაწყვეტას.

განგარიშებისა და საბითუმო საქონელბრუნვის გეგმის შესაბამისად საქართველოს სამომხმარებლო კავშირს 1974 წლისათვის, ე. ი. დღეისათვის, უნდა ჰქონდეს 7 მეტრის სიმაღლის 230 ათასი კვადრატული მეტრი სასაწყობო ფართობი, მაგრამ ამჟამად მას მხოლოდ 52 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი აქვს, აქედანაც ნახევარზე მეტი — 30 პროცენტი ვერ უპასუხებს საქონლის შენახვის ელემენტარულ ნორმებს.

სისტემის საცალო ქსელის ნორმალური მომარაგებისათვის საჭიროა, როგორც მინიმუმი, 17 საბითუმო ბაზა, ნაცვლად 10-ისა, რაც ახლა ჩვენს რესპუბლიკას აქვს. ერთი შეხედვით, თითქოს უბრალოდ არ გვყოფნის და მომავალში კიდევ უნდა აშენდეს შვიდი სარაიონთაშორისო საბითუმო ბაზა, მაგრამ თუ ღრმად გავაანალიზებთ შექმნილ მდგომარეობას, საცალო საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ვეძებოთ საბითუმო და საცალო ვაჭრობის განვითარების ამ დისპროპორციაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის ხელმძღვანელობის არსებულ სისტემას, ეკუკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საბითუმო განყოფილების სახით, რომელიც სულ ხუთი თანამშრომელია, არ ძალუძს სისტემის საბითუმო ვაჭრობის სათანადო ხელმძღვანელობა და საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერსპექტიული განვითარების უზრუნველყოფა.

თავის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სამომხმარებლო კავშირის საბითუმო ვაჭრობა გაფფრმდა და გადაიქცა მსხვილ სავაჭრო დარგად — 400 მილიონ მანეთამდე წლიური ბრუნვით. ამიტომ რესპუბლიკის საბითუმო ვაჭრობის ხელმძღვანელობის სტრუქტურა საჭიროებს არსებით გარდაქმნას. საჭიროა შეიქმნას ეკუკავშირის გამგეობასთან კანტორა, სამმართველო, მთავარი საწარმოო გაერთიანება ან კიდევ სხვა ისეთი რგოლი, რომელიც უნდა ამძლავრებდეს და წარმართავს არსებული საბითუმო სავაჭრო ბაზების მუშაობას და მეცნიერულად განახორციელებს საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერსპექტიულ განვითარებას.

მინდა შევჩერდე კიდევ, ჩემი აზრით, ერთ მწვავე პრობლემაზე. 1973 წელს ჩვენს სისტემაში შეიცვალა ხელმძღვანელობათა უმეტესობა, რიგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობის საწარმოებში. ზოგიერთი მათგანი კოოპერაციაში პირველად მოვიდა და, რა თქმა უნდა, საკმაო გამოცდილება არა აქვთ. ეს კი გავლენას ახდენს ვაჭრობის სწორ ორგანიზაციასა და საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე. ამიტომ მათი სწრაფი მომზადების მიზნით, ვფიქრობ, აჯობებს, რომ ეკუკავშირის გამგეობის და მთელი კოოპერაციული აქტივის დამბარებით რესპუბლიკაში შეიქმნას უსაღოესი 2-3 თვის ფანმავლობაში ეტალონური სავაჭრო საწარმოები. მე მხედველობაში მაქვს ისეთი სავაჭრო საწარმოები, რომლებიც უპასუხებენ დღევანდელ მოთხოვნებს, სადაც შეიძლება რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელ მუშაკთა ორ-სამდღიანი დარგობრივი სემინარების ორგანიზება. და ამ სემინარებზე კოოპერაციული ვაჭრობის თანამედროვე ჩვევებისა და წესების პრაქტიკულად შესწავლა. ტყუილად როდი ნათქვამი, ერთსელ ნახავ სჯობს ათჯერ გაგონილსო.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია საცალო სავაჭრო საწარმოებში ასორტიმენტის შესავსებად საქონლის შეფუთვასა და მარკირებას, აგრეთვე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს. ამას ადასტურებს ჩვენი ბაზის სპეციალისტების მიერ ფეხსაცმლის ხარისხსა და მარკირების შესახებ შედგენილი მრავალრიცხოვანი აქტები მრეწველობის წარმომადგენლების თანდასწრებით. ცუდად არის დაყენებული საქმე შეკვრილი ნაწარმით ვაჭრობაშიც. მეტ შემთხვევებში, მეტადრე ბაზრობებზე, ერთ-ერთ ადგილზე ერევა ერთმანეთში ბამბეულ-ბაფთა, ბაფთა-ბამბეულ-ბაფთა, ბამბეულ-ბაფთა, ბამბეულ-ბაფთა,

ამბები • ფაქტები

საკლესიო და უცხოეთის პრესის
სააგენტოები იტყობინებიან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXIX სესიის გენერალურმა კომიტეტმა 19 სექტემბრის დილისა და დღის სხდომებზე განიხილა სესიის წინასწარი დღის წესრიგი. კომიტეტმა ურჩია გენერალურ ასამბლეას დაამტკიცოს 111 საკითხი. ერთსულოვნად მოიწონეს დღის წესრიგის პუნქტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა, — „იერუსალიმის გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედება სამხედრო ან სხვა მიზნებით, რომლებიც შეუთავსებელია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის, ადამიანთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ინტერესებთან“.

განსახილველად რეკომენდებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო შშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, განიარაღების პრობლემათა კომპლექსის გადაწყვეტას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. მათ შორის უმნიშვნელოვანესი საკითხები ეხება საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციის, „უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 10 აროცენტით შემცირებისა და დახოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად გამოყენების შესახებ“ რეზოლუციის განხორციელებას, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევისათვის მზადებას.

დღის წესრიგში შევიდა აგრეთვე სხვა მწვავე აქტუალური საკითხები.

დღეს გენერალური კომიტეტი შეუდგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კომიტეტების მიხედვით დღის წესრიგის პუნქტების განაწილებას.

ა. ა. გრომიკოს საუბრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 20 სექტემბერი. (საკადესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც აქ იმყოფება, თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს.

გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ურთიერთსაინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების კურსი ორივე ქვეყნის სახლთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო შშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

საუბარში, რომელსაც საქმიანი და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. სტესელი და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. (საკადესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს.

სსრ კავშირის საელჩოში საუზმის დროს გაიმართა ა. ა. გრომიკოსა და ჰ. კისინჯერის საქმიანი საუბარი, რომლის დროს განხილულ იყო ფართო წრის საკითხები, მათ შორის შეიარაღების შეზღუდვისა და ევროპის უშიშროების შესახებ.

საუზმეზე იყვნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. მ. კორნიენკო; ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. სტესელი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ჰ. სონენფელდტი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპის საქმეებში ა. ფ. პარტმანი.

„სოიუზ“ — „აპოლონი“:

წარმატების სრული რწმენა

კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ერთობლივი ექსპერიმენტული თრენინგისათვის მზადება კოსმოსური ინტერესული ექსპერიმენტების სტადიაშია. მოდულური თვეში მოსკოვში მოეწყობა შესაპრაპარებელ მოწყობილობათა სათრენინგო სიმუშავეთა გამოცდა საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტების მოთაულებით. გაკეთებულ წინებულია აგრეთვე პილოტირებული „სოიუზ“ ხომალდის გაძვება, როძელზეც გამოცდიან „სოიუზ“ — „აპოლონის“ პროექტის განხორციელებისათვის გასაკეთებელ სისტემებს.

ეს განაცხადა დღეს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში ჩამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „ინტერკოსმოსის“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ს. ვერეშჩეტინმა. მან ჟურნალისტებს წარუდგინა პრეს-კონფერენციის დაძსწრე პროექტის ტექნიკური დირექტორები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. დ. გუშუნეი — საბჭოთა კავშირის ძხრივ და დოქტორი გლენ ლანი — ამერიკის ძხრივ.

პროექტის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ფრენისათვის მზადების გრაფიკი უნაკლოდ სრულდება. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე გაკეთებული მუშაობის მასშტაბს, თქვეს, მაგალითად, თქვა კ. დ. გუშუეევმ, თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში 26 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე მხარეაძხარ მუშაობდა ორასზე მეტი სპეციალისტი, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ პროექტის განხორციელებასთან.

ჩვენი მხრივ, თქვა დოქტორმა გ. ლანიმ, ავრეთვე გასაკუთრებით ეზრუნავთ ექსპერიმენტისათვის მზადების გრაფიკის ზუსტი შესრულებისათვის. ჩვენს საბჭოთა კოლეგებთან საერთაო შეხვედრები აღსავსე იყო არა მარტო ურთიერთგაგებით, არამედ პარტნიორთა გულწრფელი სურვილითაც დახმარებოდნენ ერთმანეთს ყველა პრობლემის გადაწყვეტაში.

დოქტორმა გლენ ლანიმ განსაკუთრებული სიმპათიით ალაპარაკა სტუმართმოყვარეობასა და კეთილმოსურნეობაზე, რაც, მისი თქმით, კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში მუშაობის დროს იგრძნობოდა. ჩვენ, თქვა მან, სამშობლოში ვბრუნდებით ჩვენი დიდი საქმის წარმატების სრული რწმენით.

ნ. ჟელეზნოვი.
(საკადესის კორ).



პორტრეტი

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური, მრწამსი, შინაგანი მიზანსწრაფვა, სულიერი ძალა მის ლირიკულ ქმნილებებში ყოველთვის ზომიერად, დახვწილი გულთვალისა არია გამჟღავნებული.

ადამიანის სულზე კეთილმოქმედების უნარსა და ცხოველმყოფელობას მის პოეზიას ცხოვრებისეულ ძოძლენებზე სწრაფი რეაქცია ანიჭებს უთუოდ. მას ახასიათებს განცდის სიძლიერე, ოდნავ აწეული ტემპერამენტი, ცოტა პათეტიკურობაც — და ეს ბევნის პოეტს. მისი ლექსის სხეული, გარეგნული „ლნაგოა და შინაგანი სულიერი წყობა როგორღაც ჰგავს ერთმანეთს. მისი პოეტური სტილი ისევე ენერგიულია და ძოძოკავი, როგორც თვითონ. სიტყვა — ფიცხი და მოქნილი, ზილვა — ნათელი, ფერები — ხალისიანი, გამგვირვალე, რიტმი — ძსუბუქი, დამოკიდებულება — უმუალო, ხშირ შემთხვევაში თამამი, ოგრამ გულწრფელი. სტილი თვით კაციაო, უთქვამთ, და მე მჯერა ძისი პიროვნებისა და ლირიკული ქმნილებების საოცარი ძსგავსეა.

როცა მის პოეზიას ეკითხულობ, მეჩვენება: ის უფრო ნერვიული, აღგზნებული პათოსის პოეტია, ვიდრე ჭუმი, ხაზი განწყობილების ძეთქეიდი. ოგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მისი პოეტური სულის მიმოხვრა, ნაბატი აო ჰგუობდეს ჭეშმარიტი პოეზიის ძარად გახეყრელ, იდუალეთით მოცულ ინსიკუუდოოესა და სინაზეს, ოოძლის გარეეე ჯერ არც ერთ პოეტს ღირსეული არაფერი შეუქმიია.

ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული გმირი ძეირად სალამოსაღამ, ბიიდუნდისას, ძველი ციხე-ციხეების ჩრდილში, ხავიან ლოდზე მეადგარი ზვერავს ყარსულის ძიღმა სიკრცეებს, სიიათლეს უკვრეტს, ადამიანია სულში მეტი სიკეთის აღძოჩენას ლაკობს, გარდასული გმირთა ხათელ საბეებს ეხსეეეს, ბურუსიდან მათა ლაადებსაც გამოიხმოის ხოლმე, ოცნებით მათებრ ჯაკვის აკრანეს იცვამს, რათა ბოროტაციასა და ყოველგვაო ადამიანურ სიიანთჯეეა და სიცოცხეს ციხის ძცე

ხ. კილაძის ფოტო.

მეგობრების დახმარებით

თბილისში, თუმქის დახახლებაში დაიწყო პირველი სასწავლო წელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ახალმა სასწავლო კომბინატმა, რომელიც მოამზადებს აღრიცხვის სხვადასხვა სპეციალისტებს.

კომბინატი აღჭურვილია აღრიცხვის თანამედროვე ტექნიკით, რომელიც დამზადებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფირმის „ზოენდერონის“ მიერ.

სურათებზე: მარცხნივ — მოსწავლეები პრაქტიკულ მეცადინეობაზე, მარჯვნივ — პერფომანსანების ოპერატორი კომკავშირელი ბ. თავამაიშვილი.



ცისფერი ეკრანიმთაში

დუშეთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ფიცარრატრანსლატორი დადგა სოფელ ქვეშეთის მიდამოებში. მთიულთა ოჯახებში პირველად აანთეს ელფენერი ნათურები. მოსახლეობის დიდი მადლობა დაამსახურეს ტელეცენტრის მუშაკებმა გ. კორძახიას, თ. კარაპეტიანმა, ი. ბიბილაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც დამონტაჟეს საჭირო მოწყობილობა. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით ტელეადაპტაციათა მიღება ისეთ ძნელ პირობებში, როგორიც ყრაგის ხეობა, პირველია საბჭოთა კავშირში და მოითხოვს მთელი რიგი ეკსპერიმენტული სამუშაოების ჩატარებას, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

კოლმეურნეობამ სკოლა ააშენა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავისი სახსრებით ბეგრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება აშენა. გალამაზდა და დამშვენდა სოფლის (ენერი, ახალი სასწავლო წელისთვის კოლმეურნეობამ ააგო სამსართველი, 760 მოსწავლისათვის გაწყობილი საშუალო სკოლის შენობა.

მოწინავე ტანკერი

ბათუმი. (საკ. კორ.). „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი“ სანაოსნოს ტანკერებს შორის ერთ-ერთი ახალგაზრდაა. მეოთხედ ამბობა. მისმა კოლექტივმა „მრავალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. ეკიპაჟმა მარტო წელს 7 შორეული რეისი მოაწყო და ბადაზედა ათასობით ტონა ტვირთი.

წარმატებები განაპირობა იმისაც, რომ დაჯილდოდა-გადმოტვირთვის ოპერაციებს ატარებენ ჩქარსნელი მეთოდით. დიდი ეკონომია აქვთ საწვავისა და წყლის ხარჯვაში.

ტანკერ „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის“ ეკიპაჟს ბევრი რამ შესძენია ჩაჩეხილოთა მეთოდზე ბადაყენამ. საკმარისია ითქვას, რომ ბანდელ 7 თვეში კოლექტივმა სახელმწიფოს 152 ათასი მანეთი მოგება მისცა.

დახმარება ომის ინვალიდებს

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). სამაგალო ომის ოთხმაგ ინვალიდმა უფასოდ მიიღო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“. ომის ვეტერანებისა და შინაშრომელთა ოჯახები საბჭოთა მისაყიდად გამოყოფილ იქნა სხვადასხვა ხაზინა მასალები, 15 ინვალიდს მშენებლობისათვის მიეცა აგრეთვე უპროცენტო სესხი — 12600 მანეთი, საყოფრებელი ბინები მიიღო 12 ინვალიდმა და ომში დაღუპულის ოჯახმა.

ბათუმელ-ზენარეულია რაიონის ფინტარში ომის ინვალიდების ოჯახებისათვის აშენდეს 50-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკადრისი მიეგდო

ქალაქ კრასნოდარში გაიმართა სამხედრო დამნაშავე გიორგი ციანარიძის ღია სასამართლო პროცესი. ორი კვირის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა მოუსმინა 40-ზე მეტ მოწმეს, შეისწავლა გამოძიების მიერ წარდგენილი მასალები და დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილი იყო 19 სქელტანიან ტომში, და ცნო, რომ ბრალდებული დამნაშავეა ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მოსპობაში. დამტკიცდა, რომ ციანარიძე მონაწილეობდა სამი ათასზე მეტი კაცის მოსპობაში.

ამგვარი მუშაობისათვის ჰიტლერელებმა შექმნეს სპეციალური სადასჯელო ქვეგანყოფები — „აინზატცგრუპები“, მათ დავალებული ჰქონდათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაციასტური რეჟიმის უზრუნველყოფა. „აინზატცგრუპებს“ კომპლექტებდნენ ყველაზე თავზეხელაღებულ კაციხმკვლელთაგან, რომლებიც ესახურობდნენ გესტაპოში, სისხლის სამართლის პოლიციაში, სდ-ში, აგრეთვე ჰიტლერის სამსახურში გადასული გამეციმლებისაგან. ისინი ფიზიკურად სპობდნენ ადამიანთა მთელ სოციალურ კატეგორიებს. ფაშისტთა მეთაური ჰიმლერი „აინზატცგრუპებს“ განკარგულებას აძლევდა: „თუ მოსახლეობა არასრულფასოვანია რასისა და ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით, ყველა პირი, ისევე როგორც პარტიზანებისადმი დახმარებაში ეჭვმიტანილნი, უნდა დაიხვრიტონ, პირუტყვი და პროდუქტები კონფისკებულ იქნეს. სოფლები მთლიანად გადაიწვას“. (1941 წლის 28 ივლისის ბრძანება).

ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინის სამხრეთში, ყირიმში 1941-1943 წლებში მოქმედებდა „აინზატცგრუპა დ“. 1942 წლის ზაფხულში ქალაქ სიმფეროპოლში მასთან შეიქმნა ეგრეთ წოდებული „კავკასიის ასეულ“, რომელსაც მეთაურობდა ვალტერ კეერერი. იგი შედგებოდა სამშობლოს მოღალატეთაგან. ციანარიძე ამ ასეულში მსახურობდა.

პროცესზე ერთ-ერთი ცენტრალური იყო ბრალდებულის პიროვნების დადგენის საკითხი. იგი კანადაში იმალებოდა; 1968 წელს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კანადის ხელისუფალთა მოსთხოვა გადმოეცათ ციანარიძე სამართალში მისაცემად. მარშან ციანარიძე ბათუმში ჩამოვიდა კანადიდან როგორც ტურისტი დავით გელდიაშვილის სახელზე მიღებული პასპორტით. აქ იგი დააპატიმრეს.

პირველი დაკითხვების დროს მან აჩვენა, ნადვილად გიორგი ციანარიძე ვარ, დაბადდი და გავიზარდე ბათუმში, ომის დაწყებამდე პარიკმახერად ვმუშაობდიო. იგი უარყოფდა, რომ მსახურობდა ფაშისტური სამსახურის სდ-ის სადამსჯელო ქვეგანყოფილ — „კავკასიის ასეულში“. მაგრამ როცა მისთვის ცხადი გახდა, რომ მის წინააღმდეგ სამხილები უცილობელია, ციანარიძემ განაცხადა, გელდიაშვილი ვარო.

გასამართლებისას ციანარიძე გამოიცნო 20 მოწმემ. ბათუმის მცხოვრებმა ნინო კილაძემ დაადასტურა, რომ ციანარიძე მისი ქმარი იყო. შეიღებმა — რენო და ნაზი ციანარიძეებმა იგი ცნეს თავიანთ მამად. მოწმეებმა პ. კოლუაშვილმა, ვ. შოკანაძემ, ვ. ქუტალიძემ სასამართლოს აჩვენეს, რომ მას ჯერ კიდევ ომამდე იცნობდნენ.

ტრიბუნალს წარედგინა აგრეთვე ციანარიძის დაქტილოსკოპიური კარტა, გადაღებული 1941 წელს, როცა იგი მსჯავრდადებული იქნა დეზერტირობისათვის. ექსპერტმა-კრიმინალისტებმა შეაჯერეს ამ კარტაზე თითების ანაბეჭდები ბრალდებულისათვის გადაღებულ ანაბეჭდებს. მათი დასკვნაა, რომ ანაბეჭდები ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის.

კანადის კონსული დერეკ ფრეზერი დარბაზის ერთ-ერთ პირველ რიგში იჯდა ციანარიძის პროცესის დროს. გაანჩენის გამოტანის შემდეგ იგი შეეხვა მსჯავრდადებულს. ეს იყო, როგორც მან თქვა, უაღრესად პრივატული საუბარი, არა პრესისათვის.

სასამართლო პროცესზე ცალკე ხაზგასმულ იქნა, რომ ბრალდებული კანადის მოქალაქე დავით გელდიაშვილი კი არ არის, არამედ სამხედრო დანაშაული გიორგი ციანარიძეა, რომელიც ამ სახელით იმალებოდა. ციანარიძე სსრ კავშირის მოქალაქეა დაბადებით. გამორკვეულია, რომ 1933 წლის 29 ოქტომბერს ბათუმში მას, როგორც საბჭოთა მოქალაქეს, მიეცა საბჭოთა პასპორტი № 625771.

ტრიბუნალმა ციანარიძეს დახვრეტა მიუსაჯა.

1968 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის ვადები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო დანაშაულობათა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობათა მიმართ. საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1965 წელს მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმად სამხედრო დანაშაულობებს ხანდაზმულობის ვადა არა აქვს. „ბენოციდი, მშვიდობიან მცხოვრებთა გაულეტაში დამნაშავეები პასუხს უნდა აგებდნენ ხალხთა სამსჯავროს წინაშე, თუნდაც რომ მსოფლიოს კიდეზე დაიმალონ“, — ანტიჰიტლერული კოალიციის დეკლარაციის ეს სიტყვები კარგად ახსოვთ საბჭოთა ქვეყანაში.

კრასნოდარში გამართულ პროცესზე გამოქვეყნებულ იქნა სახელები ციანარიძის თანამონაწილეებისა დანაშაულებებში, „კავკასიის ასეულის“ ყოფილი მოსამსახურეებისა, რომლებიც კიდევ ემალებიან მართლმსაჯულებას. ესენი არიან: ოტტოფატ ალი ისკანდერ ოღლი ალიშევი, 1918 წელს აზერბაიჯანის სსრ ქ. სალიანში დაბადებული, აზერბაიჯანელი. იგი ცხოვრობს სტამბოლში იბრაჰიმ მურის გვარით. მისი მისამართია: ბაბაზედ ფაშა, მახალესი (იოფუშუ), მაჯანჩუ სოკაკ, 3. ეწევა სპეკულაციას;

ავთანდილ ალფეზის-ძე ფარჯანაძე, 1920 წელს დაბადებული, თბილისის ყოფილი მცხოვრები, ქართველი. ცხოვრობს ლონდონში; ჰაროუ, საფოკრიუდი, 12;

ბაგრატ (იგივე აკაკი) მელიტონის-ძე ჭაჭიამვილი, დაბადებული 1916 წელს საქართველოს სსრ სოფელ არგვეთაში, ქართველი, ცხოვრობს: საფრანგეთში, ვალენტინეი, 25 ვოლ დიის ქ., 27, მუშაობს ბეეს ავტოქარხანაში.

დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ ხალხთა სამსჯავროს წინაშე.

ბ. ბანოვი.

(ახალი ამბებიდან საააგენტო).

„იზვესტია“, 21/IX.

რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა გახდება კავკასიის თბილისი-ორჯონიკიძის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXV კონფერენციის მასალებიდან.

□ □

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმით დასახულია რკინიგზის ხაზის გაყვანა კავკასიონის ქედის გავლით — თბილისი-ორჯონიკიძე. მეტად ძნელია შეადგინო ამ გზის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ჯერ ერთი, იგი სულ ცოტა 300 კილომეტრით შეამცირებს მანძილს მოსკოვიდან თბილისამდე, ხოლო 900 კილომეტრით — ბაქომდე; მეორეც, რკინიგზა საქართველოს დაშორებულ მაღალმთიან რაიონებს კიდევ უფრო დაუკავშირებს ცენტრთან.

კავკასიონის გადაღლით გზის გაყვანის იდეა ახალი რადია, იგი მოწინავე საინჟინრო აზროვნებას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. ასი წლის წინათ აღელვებდა. ასეთი საკითხი, კერძოდ უკვე იდგა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაგრამ...

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, სადაც დაცულია საქართველოს წარსულის ამსახველი მრავალი მეტად საინტერესო დოკუმენტი, შემონახულია საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტი მუშაობის კვალი.

კერძოდ, აქ არის „ამერიკავკასიის რუსეთთან დაკავშირებისათვის რკინიგზის მშენებლობის ორი მიმართულების თაობაზე წინადადებათა შედარება: I — ვლადიკავკაზი-თბილისი, II — პეტროვსკი. (ახლანდელი მახაჩყალა-რედ.) — ბაქო“, რომელიც გაუკეთებია ცნობილ ინჟინერ მ. გერსევანოვს (გარსევანიშვილს). სახელდობრ, იგი წერდა, რომ „ამა წლის (ოკტომბერი 1872 წელზე) 7 აპრილს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში წაკითხულ იქნა ბ. ი. სტატკოვსკის ფრიად საინტერესო ცნობა სათაურით „რკინიგზა კავკასიის მთებზე გადასვლით, — ვლადიკავკაზის თბილისთან დაკავშირებისათვის“. ავტორი აქ ოფიციალურ ტერმინებს აგრეთვე სხვა პროექტების არსებობაზეც. რომლებიც შეუტანიათ მას, სტენდინციისა და ინჟინერ ბენკოვსკის.

არქივში დაცულია აგრეთვე 1904 წლის 15 იანვრით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში მომძღარა კიდევ გამოკვლევა ექვსი სხვადასხვა მიმართულებისა (აქვე დაწერილებით არის ასახული ექვსივე მიმართულება), რომელთაგან ოთხი პროექტი უკვე განხილულას სპეციალურად შექმნილ კომისიას 1895 წელს. კომისიაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა საიდუმლო მრჩეველი ინჟინერი ალოვი, შედიოდნენ იმ დროისათვის ისეთი დიდი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ კერძოდ — ბ. ჭაკოვსკი. აგრეთვე განსახილველი პროექტებს ავტორები — ინჟინერი კოსეცმა — სტატკოვსკი და რიძევსკი. თვითეული პროექტის დადებითი და ნაკლის აწონ-დაწონის შედეგად განსაზღვრული ყოფილა ამ გზის მშენებლობის მთავარი მიზანი. მოხსენებითს ბარათში კერძოდ ნათქვამია: „კავკასიონის ქედზე საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის მიზანს შეადგენს: 1) ამერიკავკასიის ევროპულ რუსეთთან შეერთების დასრულება, 2) ამერიკავკასიის სასიცოცხლო საკითხებით რუსეთის დაინტერესება; 3) კავკასიონის მთავარი ქედის გავლინის აღმოფხვრა, როგორც დაბრკოლებისა არა მარტო პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სავაჭრო, არამედ ეტნოგრაფიული თვალსაზრისითაც. გზის ასეთ მნიშვნელობას ყველაზე მეტად მივაღწევთ თბილისიდან არაგვის ველზე გავლის მიმართულებით. არხოტის ბადასასვლელის მდებარეობა და მოხაზულობა ყველაზე მეტად უწყობს ხელს აქ რკინიგზის გაყვანას“...

არქივიდან ამოღებული

საუკუნის ოცნება

რკინიგზა კავკასიონზე

შემდეგ მითითებულია ამ გზის მშენებლობის სხვადასხვა ტექნიკური პირობები: ზღვრული დაბრილობანი, რკალების რადიუსები, განაჭრეული პუნქტების მოედნების სიგრძე, გზის გამტარუნარიანობა და ბევრი სხვა საკითხი.

საინტერესოა, რომ ინჟინრები უკვე იმთავითვე აყენებდნენ ამ გზის ელექტრიფიკაციის საკითხს. არქივში მოიპოვება „თბილისს, გუდაურსა და ვლადიკავკაზს შორის ელექტრული საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტი“, რომლის ავტორები არიან გინერალი ი. ბორსი, სამხედრო ინჟინერი ა. კუჩინსკი და მეფის კარის მრჩეველი ნ. ვერეალესი. პროექტში მითითებულია, რომ „ყველა ზოთხოვნას უპასუხებს მხოლოდ მთაში ერთადერთი გადასასვლელი, რომელზეც გადის საქართველოს სამხედრო გზა, ე. ი. პუნქტები ვლადიკავკაზი-თბილისი“. არქივში ინახება აგრეთვე კრებული — „მასალები პროექტისა თბილისს-ვლადიკავკაზის ელექტრული რკინიგზა“, მომზადებული მომავალ საუღელტეხილო გზაზე რკინიგზის სადგურების მშენებლობის შესახებ, ცნობა გზის მიმართულების არჩევის შესახებ და ა. შ.

საინტერესოა ამ მიმართულების არჩევასთან დაკავშირებული დავა. მ. გერსევანოვს, მაგალითად, მიაჩნდა, რომ „ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ იმერეთის სამხედრო ბაზიციელის ბაზა ერეოს, ამ გზატკეცილს ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა. ნუთუ იტივე უნდა გავიმეოროთ საქართველოს სამხედრო გზის მიმართვაც?

ცნობილმა სამხედრო ისტორიკოსმა, პუბლიცისტმა ხ. ესაძემ კი, რომელმაც ამ გზის მშენებლობის საკითხს მრავალი სტატია მიუძღვნა, 1913 წელს ჟურნალ „ბანკები და ბირჟების“ აპრილის ნომერში გამოაქვეყნა სპეციალური წერილი მშენებლობის ფინანსურ საკითხზე, ხოლო გერსევანოვის ოპონენტს ინჟინერ კუჩინსკის სწერდა: „შევიტ რა თქვენი წერილი მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი მხრივ ვაცხადებ თანხმობას ვითანამშრომლო პროექტის დამუშავების ლიტერატურულ ნაწილში, აგრეთვე ვითანამშრომლო სხვადასხვა გაზეთში, რათა ხათანადოდ და ყოველმხრივ გაშუქდეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იქნება საუღელტეხილო გზის მშენებლობასთან“.

ახალი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე, მაშინდელი პრესა რეგულარულად და დაწერილებით აშუქებდა მოვლენათა მსვლელობას. ასე, მაგალითად, გაზეთი „კავკაზი“ 1911 წლის აგვისტოში წერდა, სექტემბრის ათს თბილისში განხორახლია განსაკურებული თათბირის მოწვევაო, ხოლო 11 სექტემბერს უკვე მეითხვლებს აუწყებდა: „დღეს თბილისიდან ანანურის გავლით არხოტის გადასასვლელისაკენ გავემგზავრნენ განსაკუთრებული თათბირის წევრები, თათბირი მოწვეული იყო არხოტის გადასასვლელს ქვეშ გრძელი გვირაბის გაყვანის საკითხზე“.

გზის მშენებლობასთან დაკავშირებული მასალებისა და დოკუმენტების დიდი ნაწილი ინახება აგრეთვე მოსკოვში, ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში. აქვეა მათი შესწავლა უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ინჟინერ-ტექნიკოსებს, პროექტზე მომუშავე ორგანიზაციებს. მთ უფრო, თუ გავითვალისწინებთ ახლანდელ პირობებს — დიდ პარტიულ-სახელმწიფო ეფექტურ ზრუნვას ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაზე, ტექნიკისა და საინჟინრო აზროვნების თანამედროვე დონეს, ჩვენს ქვეყანაში რკინიგზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის „უმდიდრეს გამოცდილებას — ყველაფერი ეს იმის დიდი საწინდარია, რომ საბოლოოდ განხორციელდება ეს საუკუნოვანი ოცნება.

მ. ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ა. ჟაზბეგის დაბადების 125 წლისთავისათვის

□

საერთაშორისო ასპარეზი

საქართველოს გზებზე



ჩაქვის გადასასვლელზე.

ა. ჩანტლაძის ფოტო.

საერთაშორისო ტურნირებზე

ალბანეთში (ბულგარეთი) დამთავრდა საინტერესო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლის 14 მონაწილეს შორის იყვნენ გროსმაისტერი ტაიმანოვი, ოსტატები სტოლიარი და ესტრინი.

13 თამაშიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა გროსმაისტერმა ტაიმანოვმა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა საერთაშორისო ოსტატი კნეჟევიჩი (იუგოსლავია).

ჰალეში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიან მსოფლიოს ექსჩემპიონი ტალი, გროსმაისტერები სავონი (ორიეკი — საბჭოთა კავშირი), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), ულმანი (გდრ).

4 ტურის შემდეგ დაწინაურდა გდრ-ის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი კნაპი — 3,5 ქულა.

ჭოკეი

გუშინ ვინიპეგში

სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა ნაკრები ბუნდოვნის მესამე შეხვედრა გაიმართა გუშინ ვინიპეგში.

პირველი პერიოდი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახსნეს კანადელებმა, საპასუხო შაიბა კი გაიტანა იაკუშევმა. თამაში გვიან ღამემდე გაგრძელდა.

კანადელი და საბჭოთა ჰოკეისტების ბოლო, მეოთხე შეხვედრა ოტავანისკენაო 23 სექტემბერს გაიმართება ვანკუვერში.

ფეხბურთი

ნაკა — „ტორპედო“

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 23-ე ტურის პირველი მატჩი: ცსკა-„ტორპედო“.

თამაშის 74-ე წუთზე კოპეიკინმა გაიტანა ბოთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა არმიელებს — 1:0.

მშვილდოსნობა

ლიდერები წინ მიიწევენ

ბაკოლოდ 10 ქულა ჰყოფს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატის ლიდერებს მშვილდოსნობაში ქალთა შორის — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ჭეთაისელ ქეთევან ლოსაბერიძესა (1.647 ქულა) და სსრ კავშირის ხალხთა მეზუთე სპარტაკიადის ჩემპიონს, თბილისელ ლიუბოვ ასატროვა-სორდიას (1.637 ქულა).

ვეთა შორის დამაჯერებლად ლიდერობს თბილისელი სპორტის ოსტატი ა. მეკეშიძე — 1.699 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან თბილისელები.

ლია ხხილაძე.

„სპორტლოტო“

მოუკეთებს 1974 წლის 20 სექტემბერს მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 26-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: 29 (საპარაშუტო სპორტი), 5 (ბადმინტონი), 33 (რეგბი), 45 (ფეხბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბერთი), 22 (ციგურები).

„სპორტლოტო-2“: 12 (წყალსამოტორო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 5 (ბადმინტონი), 31 (ცურვა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 1 (ავიასპორტი). (სკკ დღეა).

ფეხბურთი

ბაკურიანი — ბორჯომი — ბაკურიანი

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანი — ბორჯომი — ბაკურიანი — ასეთ ტურნირს ეწოდებოდა ბორჯომელ ფეხბურთელთა ბოლოდროინდელ ერთ-ერთ ერთ-ერთ ერთ-ერთ